სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
შიდა აუდიტის ანგარიში
2025 წელი

აუდიტორი

კახაბერ მურცხვალაძე

20/04/2026

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის ფინანსდება არანაკლებ იმ თანხის ოდენობისა, რომელიც მიიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში აღნიშნული წინა წლის დასაქმებული ფიზიკური პირების რაოდენობისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის დაფინანსების კოეფიციენტის – 64 ლარის ნამრავლის სახით, მაგრამ არანაკლებ საქართველოს წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული მთლიანი ასიგნების ოდენობისა. „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული დაფინანსება ერიცხება სრულად, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვარტალური განწერის შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენაზე, შესრულებაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

ანგარიშის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ - მუხლი 35: „სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ: კ) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ; ლ) შიდა და გარე აუდიტის დასკვნებს“

2025 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი სამეურვეო საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად 2024 წლის დეკემბერში. უკვე კორექტირებული ვერსიით 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობამ შეადგენა - 111 290 639 ლარი. ბიუჯეტში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო მშენებლობის, ახალი შენობის აღჭურვის და გადასვლის ხარჯებზე.

მსხვილი მუხლების მიხედვით ჩაშლილია შემდეგი სახით:

სამეურვეო საბჭო	1,517,850
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	60,836,645
საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი	27,052,366
ფინანსური ხარჯი	21,883,779
მთლიანი ბიუჯეტი:	111,290,639

დაფინანსების წყაროები განისაზღვრება შემდეგი სახით:

საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გასულ წელს მისი შემოსავლის 63,7% შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 28,3% - მშენებლობის საჭიროებისთვის წინა წელს (2024წ) დაგენერირებულმა ნაშთმა.

ფულადი შემოსულობები

სახელმწიფო ასიგნება	84,245,734
შენობის რეალიზაცია	5,700,000
კომერციული შემოსავალი	667,760
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,017,997
სამშენებლო ხარჯის გარადამავალი ნაშთი	37,403, 882
ჯამი	**132,096,723**

ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები:

დაგეგმილი და გაწეული საკასო ხარჯის შედარება

ბიუჯეტის გეგმა / შესრულება	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
სამეურვეო საბჭო	1 517 850	1 157 178	360 672	76 %
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	785 064	801 753	16 688	103 %
ახალი და მიმდინარე ამბები	13 580 251	13 272 345	307 905	98 %
მედია	18 656 247	14 890 270	3 765 976	80 %
ტექნიკა და ტექნოლოგიები	11 705 126	13 469 434	1 764 308	115 %
საერთო და ასმინისტრაციული ხარჯი	8 685 134	7 650 468	1 034 665	88 %
სხვა ფინანსური ხარჯი	556 000	449 805	106 195	81 %
მთლიანი ბიუჯეტი	**55 485 672**	**51 691 253**	**7 356 409**	**93 %**

ფინანსური და არაფინანსური აქტივები

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2025წ	წინა საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საბოლოო ნაშთი 31.12.2024წ	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2024წ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,320.40	9,129.32	9,129.32
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	50,449,465.74	60,973,898.93	60,973,898.93
მატერიალური მარაგები	1,235,000.47	2,316,338.74	2,316,338.74
სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	4,399,290.35	3,196,080.20	3,196,080.20
სულ მოკლევადიანი აქტივები	56,098,076.96	66,495,447.19	66,495,447.19
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1,122,149.80	1,152,185.18	1,152,185.18
ძირითადი აქტივები	51,021,760.56	49,546,696.60	49,546,696.60
არამატერიალური აქტივები	3,121,748.15	3,420,335.35	3,420,335.35
სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	82,623,685.10	71,731,804.04	71,731,804.04
სულ გრძელვადიანი აქტივები	137,889,343.61	125,851,021.17	125,851,021.17
სულ აქტივები	193,987,420.57	192,346,468.36	192,346,468.36

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ანალიზი მიუთითებს, რომ 2025 წლის ბოლოსთვის ორგანიზაციის მთლიანი აქტივები გაიზარდა და შეადგინა 193,987,420.57 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 0.85%-იანი ზრდაა. აღნიშნული ზრდა ზომიერია და არ მიუთითებს მკვეთრ გაფართოებაზე, თუმცა, აქტივების შიდა სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები საგულისხმოა და საჭიროებს დამატებით შეფასებას.

მოკლევადიანი აქტივები შემცირდა დაახლოებით 10.4 მლნ ლარით (15.6%-ით), რაც ძირითადად განპირობებულია დებიტორული დავალიანებების (~10.5 მლნ ლარი) და მარაგების (~1.1 მლნ ლარი) კლებით. აღნიშნული ტენდენცია შეიძლება შეფასდეს დადებითად იმ შემთხვევაში, თუ დებიტორული დავალიანების შემცირება გამოწვეულია რეალური ამოღებით და არა ჩამოწერით, ხოლო მარაგების შემცირება ასახავს ეფექტიან მართვას და არა ოპერაციული დეფიციტის არსებობას.

გრძელვადიანი აქტივები გაიზარდა დაახლოებით 12 მლნ ლარით (9.6%-ით), რაც ძირითადად გამოწვეულია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების (~10.9 მლნ ლარი) და ძირითადი საშუალებების (~1.5 მლნ ლარი) ზრდით. აღნიშნული ცვლილება შესაძლოა მიუთითებდეს ინფრასტრუქტურულ და კაპიტალურ ინვესტიციებზე, ასევე, მიმდინარე პროექტების ფარგლებში განხორციელებულ აქტივების კაპიტალიზაციაზე.

ფინანსური აქტივების დინამიკის მიხედვით, 2025 წლის განმავლობაში, ორგანიზაციის ფულადი რესურსები შემცირდა 37.41 მლნ ლარიდან 32.49 მლნ ლარამდე, ანუ, დაახლოებით 4.92 მლნ ლარით. შემცირება ძირითადად უკავშირდება დეპოზიტებზე არსებული ნაშთის კლებას, რაც მიუთითებს, რომ ორგანიზაციამ აქტიურად გამოიყენა წინასწარ დაგროვილი ფინანსური რესურსები როგორც ოპერაციული, ისე საინვესტიციო საჭიროებების დასაფინანსებლად. სხვა კომპონენტებში ცვლილებები უმნიშვნელოა და არსებით გავლენას არ ახდენს საერთო ფინანსურ პოზიციაზე.

არაფინანსური აქტივების ანალიზი აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი რესურსი კონცენტრირებულია დაუმთავრებელ აქტივებში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს პროექტების დასრულების პროცესის გახანგრძლივებაზე. ამასთან, აქტივების მრავალფეროვანი სტრუქტურა ზრდის ხარჯის სწორი კლასიფიკაციისა და ეფექტიანი კონტროლის სირთულეს, რაც დამატებით ყურადღებას მოითხოვს ფინანსური მართვისა და მონიტორინგის კუთხით.

შესყიდვები

შესყიდვები განხორციელდა წლის დასაწყისში დაგეგმილი მონაცემების შესაბამისად. რიგ შემთხვევებში იყო მინიმალური ცდომილება დაგეგმილსა და რეალურად განხორციელებულ შესყიდვას შორის, თუმცა, აღნიშნული გამოწვეული იყო ტენდერის პრინციპებიდან, ფასთა კვლევის შედეგად გაცხადებული თანხის მოცულობა ძირითადად 20%-ის ფარგლებში განიცდიდა კლებას. თუმცა, წლის მანძილზე, რამოდენიმე შემთხვევა ფიქსირდება 20 %-ზე მეტი მოცულობით კლების. ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ფასწარმოქნის ადეკვატურობის დოკუმენტი.

შესყიდვის საშუალება	რაოდენობა	ხელშეკრულების ჯამური ღირებულება	გახარჯული თანხა ნაზარდი ჯამით	%
ელექტრონული ტენდერი	56	33 433 679	22 852 855	68%
კონსოლიდირებული ტენდერი	30	2 474 534	1 046 891	42%
გამარტივებული ტენდერი	32	6 124 415	3 290 691	54%
კონკურსი	1	1 297 957	1 286 389	99%
ჯამი	119	43 330 586	28 476 826	66%

ცხრილში მოყვანილი 66%-იანი ათვისება გულისხმობს, რომ გამოცხადებული ტენდერების 34% არის გარდამავალი და შესაბამისად ათვისებული იქნება მომდევნო პერიოდში.

ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ბუღალტრული ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის შედარება. ინვენტარიზაცია გულისხმობს, როგორც სასაქონლო მატერილური ფასეულობების, ასევე ძირითადი საშუალების აღწერას. აუდიტორულმა კომპანიამ შპს „კორა კონსალტინგი“, 2025 წლის 25 ნოემბერის №188-3 ხელშეკრულების შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთჯერადი ინვენტარიზაციის მომსახურება გასწია. შედეგად, მოხდა ყველა არსებული ძირითადი საშუალების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობის დათვლა და ბუღალტრულ ნაშთებთან შედარება. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას N31 და ქ. თბილისი, მ. კოსტავას N68. ინვენტარიზაციის ფარგლებში განისაზღვრა აქტივების ფაქტობრივი რაოდენობები, განხორციელდა მათი შედარება 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბუღალტრულ ნაშთებთან, ძირითადი საშუალებები დაკვალიფიცირდა ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და დაჯგუფდა შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში. შედეგად გამოვლინდა სხვაობები:

- 33 ერთეული ძირითადი საშუალება - საწყისი ღირებულება: 98,049 ლარი; ნარჩენი ღირებულება: 24,871 ლარი;
- 1 ერთეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობა - ღირებულება: 381 ლარი.

ავტოპარკი

ავტოპარკის მიმართულებით დაგეგმილი იყო ძველი ავტომობილების ეტაპობრივად ჩანაცვლება ახალი ელექტორო ავტომობილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო როგორც ოპერაციული ხარჯის შემცირების მიზნით, ასევე სერვისის გაუმჯობესების საჭიროებით. თუმცა, აღნიშნული სიახლე მოითხოვდა სიღრმისეულ კვლევას და ანალიზს, ამდენად, ავტოპარკის განახლების პროექტი გადაიდო და მისთვის განკუთვნილი თანხა გადატანილია 2026 წლის ბიუჯეტში. პროექტის გადავადება გაამყარა იმ ფაქტორმაც, რომ წლის განმავლობაში სერვისისა და საწვავის კუთხით არსებული ფინანსური რესურსი მიმდინარე საჭიროების დაფარვისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
ავტოპარკის სერვისი	311 000	18 4489,29	12 6510,71	59,32%
საწვავი	314 225,43	247 661,53	66 563,90	78,82%
ავტოპარკის განახლება	500 000	0	0	-
ავტოპარკის დაზღვევა	36 016,26	39 124,48	3 108,22	108,63%
პარკირება და სხვა	17 338,50	19 425,15	2 086,65	112,03%
ჯამი	**1 178 580,19**	**490 700,45**	**687 789,74**	**41,63%**

მიგნება

დასახელება	გეგმა	ფაქტი	მაჩვენებელი
კომუნალური ხარჯი			
წყალი	234 843. 80	240 181.13	102.3 %
ელექტრო ენერგია	1 192 290. 23	1 117 861. 37	93.70 %
ბუნებრივი აირი	556 797. 54	366 165.21	65.70 %
დასუფთავება	755 000	704 124.61	93.30 %
ტექნიკური: სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	961 288	2 692 291	280 %
ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურება	342 704	373 144	109 %
საკომუნიკაციო ჯებით მომსახურება	210 299	234 917	112 %
პროგრამული უზრუნველყოფა	216 784	1 952 935	901 %
სხვა ტექნიკური ხარჯი	50 000	81 000	162 %
მივლინებები	1 148 527	1 172 531	98 %

აუდიტის საგანი	მიგნება / განმარტებითი შენიშვნები
კომუნალური ხარჯი	კომუნალური ხარჯის ნაწილში მოცემულობა შეიძლება შეფასდეს პოზიტიურად; დაგეგმილთან მიმართებაში შეადგენს - 86%, რადგან მოხდა ინფრაქსტრუქტურული ტრანზიცია, მოქმედებდა ორი შენობის პარალელური დატვირთვა. ახალი შენობის ფაქტობრივი მოხმარება წინასწარ ბოლომდე პროგნოზირებადი არ იყო, თუმცა აქ რისკი უფრო ოპერატიულ კოორდინაციას უკავშირდება ვიდრე არარაციონალურ ხარჯვას. მოსაკვლევია არსებობდა თუ არა ეტაპობრივი შემცირების გეგმა ძველი შენობისთვის.
შესყიდვები	შესყიდვების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ პროცესები, ძირითადად, განხორციელდა წლის დასაწყისში განსაზღვრული გეგმების შესაბამისად და დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის ცდომილება უმეტეს შემთხვევაში მინიმალურია. ამასთან, ტენდერული პროცედურების და ფასთა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში დაფიქსირდა ხელშეკრულებების ღირებულების შემცირება, რაც ძირითადად 20%-ის ფარგლებში მერყეობდა.
ინვენტარიზაცია	ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობები მიუითებს, რომ ორგანიზაციაში აქტივების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემა გასაძლიერებელია, რაც უზრუნველყოფს აქტივების სრულყოფილ დაცვასა და აღრიცხვის სანდოობას .
მივლინება	მივლინებების ხარჯის შესრულება შეადგენს 98%-ს, რაც მიუთითებს დაგეგმილ მაჩვენებელთან მაქსიმალურად მიახლოებულ შესრულებაზე და, საერთო ჯამში, ასახავს დაგეგმვისა და შესრულების პროცესის შესაბამისობას.“
სესხი	ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო არსებული სესხის დაფარვა მიმდინარე წლის ჭრილში. თუმცა, სესხი სრულად დაიფარა იანვრის თვეში - 19 404 077 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება ფასდება როგორც ფინანსური რესურსის ეფეტიანი და რაციონალური მართვის მაგალითი.

რეკომენდაცია:

1. **ინვენტარიზაციის** ნაწილში აუცილებელია თითოეულ აქტივზე კონკრეტული პასუხისმგებელი თანამშრომლის (მატერიალურად პასუხისმგებელი პირის) მკაფიო განსაზღვრა. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების სავალდებულო გაფორმება და მათი სისტემური კონტროლი. ზედამხედველობის გაძლიერება უზრუნველყოფს აქტივების დაცვას.

2. **კომუნალური ხარჯი** - შემუშავდეს ინფრასტრუქტურული ტრანზიციის მართვის გეგმა. ახალი ინფრასტრუქტურისთვის დაინერგოს მოხმარების პროგნოზირების მოდელი. დაწესდეს ყოველთვიური მონიტორინგის სისტემა.

3. **შესყიდვები** - აღნიშნული გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ასახავს კონკურენტული ტენდერული გარემოს ეფექტს და ეკონომიის შესაძლებლობას, მიუთითებს იმაზე, რომ საწყისი ღირებულებების განსაზღვრის პროცესში შესაძლოა არსებობდეს დამატებითი დახვეწის შესაძლებლობა. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საბოლოო ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინასწარ განსაზღვრული მოცულობებისგან.

4. ინტერნეტისა და სატელევიზიო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (ჯების), აგრეთვე გაციფრულების პროექტთან დაკავშირებული სერვისების ღირებულება უნდა დაგეგმილიყო ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული მონაცემები წლების მიხედვით მნიშვნელოვნად მერყეობს.

5. **მივლინება** - აუდიტის მიგნებაში მივლინების თემასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ორგანიზაციამ განაგრძოს მივლინებების დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, მათ შორის, დაგეგმვის პროცესში სტრუქტურული ერთეულების საჭიროებების უფრო ზუსტი ასახვის უზრუნველყოფა. ასევე, სასურველია მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების შემდგომი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შესრულების მაჩვენებლების უფრო თანმიმდევრულ მართვას. ამასთან, რეკომენდებულია პერიოდული ანალიზის განხორციელება ერთეულებს შორის არსებული სხვაობის მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების ეფექტიანი და დაბალანსებული განაწილება.

6. **ავტოპარკის** განახლებისთვის განისაზღვროს მკაფიო გეგმა ვადებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების გადავადება. პარკირების ხარჯის კონტროლის მიზნით, საჭიროა განისაზღვროს ლიმიტები, შემუშავდეს გეგმა და გამოიყოს სათადარიგო სადგომები.

7. **არაფინანსური აქტივები** - არსებული მდგომარეობა მიუთითებს, რომ კაპიტალური პროექტების მართვა საჭიროებს გაძლიერებულ კონტროლს, ვინაიდან დაუმთავრებელი აქტივები ზრდის ფინანსური რესურსების არაპროდუქტიულად განთავსების და ბიუჯეტური გადაჭარბების რისკს.

ხელმძღვანელობის და აუდიტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარმოვადგინოთ დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი ხარისხი, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის (საჯარო სექტორის ეფექტიანობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას, ამასთანავე, ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნას შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.